მეგზური ავტორთათვის

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალი „მოამბე“ აქვეყნებს ნაშრომებს ახალი მიღწევებით ფუნდამენტურ მეცნიერებათა და ტექნოლოგიის სხვადასხვა დარგში: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გენეტიკა, ექსპერიმენტული მედიცინა, ჰუმანიტარული და საზოგადოებრივი მეცნიერებები.

მიმოხილვითი, აღწერილობითი და სარეკლამო ხასიათის ნაშრომები არ იბეჭდება.

1. ნაშრომი დაბეჭდილი უნდა იყოს ორი ინტერვალით A4 ფორმატის თეთრ ქაღალდზე, ზედა და ქვედა არეები – 20-20 მმ, გვერდითი არეები – 30-30 მმ. ნაშრომის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 10 ნაბეჭდ გვერდს, ფორმულების, ცხრილებისა და სურათების ჩათვლით.

2. ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ეგზემპლარად ინგლისურ ენაზე მთავარი რედაქტორის სახელზე. ნაშრომს თან უნდა ახლდეს აგრეთვე:

- CV, მოკლე ინფორმაცია ავტორის (ავტორების) შესახებ, მოცემულ შრომაში მისი (მათი) წვლილის აღნიშვნით;
- აკადემიის წევრის წარდგინება, ორი კვალიფიციური რეცენზია სხვადასხვა ინსტიტუტიდან (თუ ავტორი არ არის აკადემიის წევრი); მიმართვა რედაქციის სახელზე გამოქვეყნების თხოვნით იმ დაწესებულებიდან, სადაც შესრულებულია შრომა.

ნაშრომს განიხილავს სარედაქციო კოლეგია და გადაწყვეტს მისი გამოქვეყნება-არგამოქვეყნების საკითხს.

3. ნაშრომი უნდა გაფორმდეს შემდეგი სახით:

- მეცნიერების დარგი;
- ნაშრომის სათაური;
- ავტორის (ავტორების) სრული სახელი, გვარი;
- სამუშაო ადგილი;
- ნაშრომის წარმომდგენი აკადემიის წევრის გვარი;
- რეზიუმე არანაკლებ 250 სიტყვისა (ნაშრომის მიზანი, მასალები, მეთოდი, შედეგი, დასკვნა);
- საკვანძო სიტყვები;
- ტექსტი (შესავალი, მასალები და მეთოდი (მეთოდები), შედეგი, დასკვნა). ტექსტის ბოლოს დაფინანსების წყაროს და მადლობების ჩამონათვალი;
- ინგლისური ტექსტის შემდეგ რეზიუმე ქართულ ენაზე (გაფორმებული იმავე თანმიმდევრობით, როგორც ინგლისური ტექსტი), ავტორის (ავტორების) ინიციალი, გვარი. მოცულობა ერთ გვერ-დამდე;
- დამოწმებული ლიტერატურის სია უნდა დალაგდეს ტექსტში ციტირების მიმდევრობის მიხედვით (ლიტერატურა ტექსტში აღნიშნული უნდა იყოს ციფრებით კვადრატულ ფრჩხილებში);
- სურათებს უნდა ახლდეს წარწერები;
- ნაშრომის ბოლო გვერდზე უნდა იყოს ყველა ავტორის ხელმოწერა (გარკვევით).

4. ელექტრონული ვერსია: ნაშრომი უნდა გამოიგზავნოს ელ.ფოსტით; შრიფტი Times New Roman (ზომა 12). ტექსტი: Word, Word Perfect, RTF. ფორმულები შესრულებული უნდა იყოს MathType 6.0 equation პროგრამის გამოყენებით. სურათები წარმოდგენილი უნდა იყოს TIFF, EPS, JPEG (არანაკლებ 300 dpi) ფორმატში ცალ-ცალკე ფაილებად.

5. ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ბეჭდური სახით და შესაბამისი ელექტრონული ვერსიით; მიღებული ნაშრომის გასწორებული ვერსია, ან დაწუნებული ნაშრომი ავტორს არ უბრუნდება. სარედაქციო საბჭო არ განიხილავს ნაშრომს, რომელიც მოთხოვნების მიხედვით არ იქნება გაფორმებული. ავტორს შეუძლია ნიმუშად გამოიყენოს ჟურნალის რომელიმე ნომერი.

6. რუსული ტექსტის ტრანსლიტერაცია მოცემულია ასოებით კონგრესის ბიბლიოთეკის სისტემის მიხედვით.

7. ნაშრომის გამოქვეყნება უფასოა.